

התאחדות הצעירים

מחזור 1933
מחזור 1933



התאחדות הצעירים

1933

ოქტომბერი

საბავშვო სკოლის საბავშვო ჟურნალი



ხაჭატურის მ. კ. თ. გენერალური შტაბისა და განათლების სახ. კონსტრუქციის აპარატის მიერ დატანილი წიგნები

მიიღება ხელმოწერა 1933 წლისათვის შემდეგ საბავშვო ჟურნალზე:

1. „ბიონერი“—ყოველთვიური. წლით—8 მან., 6 თვით—5 მანეთი.
2. „ოქტომბერი“—ყოველთვიური. წლით—6 მან., 6 თვით—3 მანეთი.
3. „კარმირ წილერი“—ყოველთვიური (სომხ. ენაზე). წლით—6 მან. 6 თვით—3 მანეთი.
4. „ენი-კუვი“—ყოველთვიური (თურქული) წლით—6 მან. 6 თვით—3 მანეთი.

- ხელმოწერა მიიღება:
1. ფოსტა-ტელეგრაფის ყველა კანტორაში.
 2. წერილების და გაზეთების დამატარებლებთან.
 3. ბეჭდვითი სიტყვის რწმუნებულებთან.
 4. სახელგამის პერიოდსექტორში.

პერიოდსექტორი. რუსთველის გამზირი, № 34.

შ ი ნ ა ა რ ს ი

1. დაკარგული შამა, — გ. კაკაბიძის	1
2. გაზაფხული და თევზა, — ლექსი ნ. დაფნარელის	6
3. ქალთა ზეიმზე, — შ. სამადაშვილის	8
4. ნათი, — ნ. ნ. (გადმოკეთებული რუსულიდან)	11
5. გაზაფხული ხოფლად, — ნახატი ც. თაბუკაშვილის (8 წლის)	15
6. სამხედრო კომისარი, — ლექსი იანის	16
7. მუი-ცაი, — ძიასი	18
8. ღვინველებო, ისწავლეთ ღვინვისაგან, — ე. ა. (რუსულიდან)	21
9. უცნაური ცხოველი, — შ. თაბუკაშვილის	24
10. წვეთების მოგზაურობა, — შ. თ.—ის	28
11. ჩემი ნატვრა, — ლექსი მაყვალა ყიფშიძის	30
12. კომუნარი ნაპო, — პიესა ლ. გეგეშკორის	31
13. გახართობი, — რუსულიდან	გარკანის მე-3 გვ.

დაკარგული მამა



ქართველთა
წიგნების კავშირი

— დედა, გაიცინე, არ მინდა სულ მოწყენილი იყო, — ეუბნებოდა
პატარა შოთა კერას წინ მჯდომ გაიანეს.

— არა, ბიჭიკო, მე მოწყენილი არა ვარ!

— როგორ არა ხარ, დედა! რამდენი ხანია სულ ჯავრობ...
გაიცინე, არ მინდა ჯავრობდე.

— შოთა, მამა არ გენატრება?

— კი, დედა! მერე?

— მეტი არაფერი.

— რატომ არაფერი, დედა. მე ვიცი, შენ მამას ჯავრობ... მამა
კი ძაღვ მოყვას... ნუ იჯავრობ.

— არა, შვილო, მე მამაშენს არ ვჯავრობ, ან რა სჭირს სა-
დარდო! მე რაღაც ფიქრმა გამიარა იმ სამკლე ძროხის შესახებ,
ამ დღით რომ ტუქში შევუშვი და ასლაც იქ არის. რა მოუვიდა,
რატომ სახლში არ იფიქრა მოსვლა...

შოთამ კარგად იცოდა დედის გულის ჯავრი და ამიტომ დედის
თქმულით ადვილად არ მოტყუებებოდა. გაიანე ჯავრობდა და კარ-
გულ ქმარს, შოთას მამას ესტატეს.





ესტატე მიწისმუშა იყო, ახალგაზრდა და ჯანმრთელი. ახლად, როდესაც ბრძოლა ატედა მენშევიკებსა და ბოლშევიკებს შორის, ილოსთან, ესტატე მენშევიკებმა ფრონტზე გაიწვიეს. ესტატე წავიდა. ერთხელ წერილიც გამოკმაუნა ფრონტიდან და თავის კარგადუფნას იწერებოდა, მაგრამ აგერ ერთი თვეა არავითარი ცნობა არ მოდის მის შესახებ. ამიტომ გაიანუ ჯავრობდა და ეთაყვითუნებოდა ეს ჯავრი დაეფარა შოთასთვის, რომ ბავშვზე ცუდი გავლენა არ მოესდინა. მაგრამ შოთამ უკვლავფერი იცოდა და თვითონაც გაიანუწე ნაკლებ არ ჯავრობდა დაკარგულ ესტატეს. მიუსვდებოდა ამისა, დედას მაინც ნუგეშს აძლევდა იმგვარად, თითქოს დიდად გამოცდილი და ხანშიშესული ადამიანი იყო.

— გაიცინე, დედა, ნუ ჯავრობ... ჩემი მამა მალე მოვა, — იმეორებდა შოთა და ზატარა ჩხირით ნაცარს ქექავდა. შოთაც დაეჭვებული იყო ესტატეს სიცოცხლეში, მაგრამ რომ ვეთქვათ მამამსენი მკვდარიაო, დიდ ალიაქოსს აგიტყვდათ. მისი საუბარელი წინადადება იყო: — მამა მალე მოვა.

საწყალი ახალგაზრდა გაიანუ იჯდა კერას წინ და ჯავროსაკან სულ გაუვითლებული იყო. ერთი თვეა, არაფერი იცოდა ესტატეს შესახებ, მკვდარი იყო თუ ცოცხალი, კაცი არაფერს ეუბნებოდა, სოფელში კი განუთებს კითხულობდნენ და ხმები დადიოდა:

— გვარდიელებმა ფიილოს სიდი ააფეთქეს... ბოლშევიკები წინ მოიწვევენ; კოჭორთან დიდი შემოტევა აქვთ, მენშევიკების ჯარში დალატია. მთავრობა ტფილისის დატოვებას ფიქრობს! — და ვინ იცის რას არ ამბობდნენ. სოფელში ხანდახან ცნობა მოდიოდა ფრონტზე დაღუპულ რომელიმე ივანეს ან სტეფანეს შვილის შესახებ. მაშინ ამით ოჯახებში კვიალი ატელებოდა, სოფელში ძაღლები აუეფდებოდნენ, ხალხი ერთგვარ მწუსარებას მიეცემოდა. საწყალი გაიანუ საჩქაროდ მივიდოდა შეცხადების ადგილას, შვიდოდა სასაღმადლო, ჭირისუფალთ მიუსამძიმრებდა და შემდეგ კარეთ მდგომ ქალებში მოეკვებოდა თავის ესტატეს შესახებ ჩვილს. მაგრამ ნუგეშის მეტს არავინ არაფერს ეუბნებოდა. ესტატეს შესახებ მაინც არაფერი იცოდა.

— თუ ცოცხალია, წერილს რატომ არ იწერებო, — იტყობდა
სოლომე ჯაფარიანი გაიანე და დაღონებული ბრუნდებოდა მის.
გაიანე და შოთა ჯერ კიდევ არ დაწოლილიყვნენ, რომ სოფელში ვიღა-
ცამ ცნობა მოიტანა: — ფრთხილად იუპოეთ... ტფილისი იცლებო... ამ-
დამ უთუოდ ქალაქი ბოლშევიკების ხელში გადავაო.

მოსახლეობა ასმაურდა, შეფიქრდა და დილაძე ძილი არ მი-
ტყარებო. შოთა და გაიანე, რომ გათენდა, მაშინაც კერას წინ ის-
დენ და დაღლილობის გამო საცოდავად გამოიუჭრებოდენ.

მზე კარგად იყო ამოსული. სოფელი უკვე ტფილისის კასა-
ბჭოებაზე ლაპარაკობდა. ათასგვარი ცნობა დადიოდა ხალხში. სად-
ღაც, აქა-იქ კიდევ გაიანე კივილი ახლად დაღუპულ ჯარისკაცებზე,
ისევ აუფედენ ძაღლები და სოფელი ისევ ერთგვარ მწუნარებას
მიეცა. გაიანეც გაურია ხალხში, მაგრამ ესტატეს შესახებ მაინც არა-
ფერი ისმოდა.

ტფილისი კასაბჭოვდა. ბოლშევიკები წინ მოიწვედენ. სოფელი
აივსო ფრონტიდან გამოქცეული ჯარისკაცებით. მენშევიკური ხელის-
უფლება დიდ ფაცაფუცში იყო: ეშუქებოდა დესერტირებს, ფრონ-
ტისთვის - გლეხობიდან ჭადებს აგროვებდა... მაგრამ მაინც არა-
ფერმა გაჭრა: ბოლშევიკები მაინც წინ მოიწვედენ და დესერტი-
რები ფრონტზე არ მიდიოდენ. სოფელში ისევ ათასგვარი ცნობა
დადიოდა... ხალხი ღელავდა... ერთ დამეს ზარბაზნების კრიალიც
მოისმა, და როცა გათენდა, მენშევიკური ხელისუფლება სოფელში
არ იყო. შუადღით შოთამ ზირველად დაინახა წითელარმიელი სო-
ფლის შარასე ნაცრისფერი მახარით, ბუდიონოვკა ქედით და ზედ
დიდი წითელი ჯარსკვლავით. ის იჯდა რუსულ ცხენზე და ვაჟა-
ცვრად მიდიოდა სოფლის ცენტრისკენ. შოთას მოეწონა მისი იერი
და ინატრად წითელარმიელობა.

გაიანე ძლიერ ჯაფრობდა. უნდოდა შავები ჩაეცვა და ველოვა
დაკარგული ქმარი.

— სოფელში უკვლა დაბრუნდა. ვინც მოკვდა, იმათ შესახებ
ცნობები მოვიდა. შენ კი სადა ხარ, ესტატე?! — ოსვრით ამბობდა
გაიანე.



სოფელი ახალი წესებისა და კანონების მოლოდინში იყო, ვიანე კი ასეთებს არ ფიქრობდა. შოთამაც მოიწვინა.

სოფლიდან მენშევიკური სელისუფლების გაქცევის შესამე სლამოს ვიანეს ჭიშკარს ერთი წითელარმიელი მოადგა. არმიელმა ჭიშკარი ვაღო და ესოძი ჩამოვიდა. შოთა განცვიფრდა, შეფიქრდა და დედას დაუძახა.

— შოთა! — დაიძახა წითელარმიელმა.

შოთა უსიტყვოდ დარჩა.

— ბიჭო, ვერ მიცანი?! — ღიმილით ამბობდა არმიელი და შოთას უახლოვდებოდა. შოთა გაშეშდა და დაიბნა. წითელარმიელი მამამისს ესტატეს ჭკაჯდა. მაგრამ მამა წითელარმიელად ვერ წარმოიდგინა. გაქცევა დაპაირობა, მაგრამ უნებლიედ თავი შეიკაჯა.

— შოთა, რა გემართება, ვერ მიცანი?! — გაიმეორა წითელარმიელმა და ღიმილით შოთას წინ შეჩერდა.

— მამა!! — უცნოდ დაიძახა შოთამ და წითელარმიელს ფეხებში ჩაუვარდა.

—ესტატე მოვიდაო, — სმა გაუარდა სოფელში. ესტატე მართლაც
მოვიდა. იგი მსიარული და გამარჯვებული იჯდა კერძზე და მის
ბულ ცეცხლის წინ და ცოლშვილთან საუბრით ტკბებოდა. ამბო-
ბდა თავის თავგადანსავალს და ბევრ უცნაურ ამბავს ომის შესახებ.
გაიანე სინარულით ცას სწუდებოდა. მისთვის დაკარგული ესტატეს
დაბრუნება მკვდრის გაცოცხლებას უდრიდა. შოთა მეტისმეტი სინა-
რულისაგან წარამარა ტიტინებდა.

ესტატე რომ ფრონტზე გაიწვიეს, სუთ დღეს დარჩენილა მენ-
შევიკების ბანაკში. შემდეგ ორ ამხანაგთან ერთად დიდი სიფრთხი-
ლით ახერბეიჯანში გასულა და იქ წითელარმიელთა რიგებს შეჭმა-
ტებია. იმ დღიდან დიდი ბრძოლები გადისდენია ესტატეს: ჯერ
ტფილისთან, შემდეგ წიფანთან და ბოლოს შორანის მადლობებზე.

სანამდე ფრონტზე გაიწვივდენ, თურმე ესტატე ბოლშევიკი ეო-
ფილა და იატაკქვეშ უშუშავია: ეს არავინ არ იცოდა, გარდა მასთან
შომუშავე ამხანაგებისა. დღეს კი მისი ბოლშევიკობა ეგულამ გაიგო
და მასთან შოთამაც და გაიანემაც.

ესტატეს ახერბეიჯანში გაბარვამდე უნდოდა თავისი განსწავლა
ცოლშვილისთვის წერილით ეცნობებია, მაგრამ თავი შეიკავა. შე-
ეჭვდა: ვაი თუ წერილი ფინქმ გახსნას, ხეში ამბავი გაიგონ და
ცოლშვილი უბედურ ძღვოპარეობაში ჩაბიეწონო. გაიანე მანც
საუვედურობდა:

— მიუსვდავად ამისა, წერილი აუცილებლად უნდა გამოგე-
კსავნაო.

მაგრამ ეს საუვედური მთავარი არ იყო აქ. მთავარი მოულო-
დნელი მსინარული იყო, და გაიანესაც ამის გამო თვალეები უბრწვი-
ნავდა. წარამარა მოტიტინე შოთა მამას კისერზე ესუოდ და სთხოვდა
კიდევ ეთქვა უცნაური ამბები ომის შესახებ. ეს დღე იყო შოთასა-
თვის ბედნიერი დღე და შემდეგ კიდევ ის, როცა კომკავშირში
მიიღეს.



ქარი არა ქრის, არ თოვს,
არ ცივა, უკვე დათბა;
გამოიღვიძა სამთრის
ღრმა ძილისაგან დათობა...
გამოიღვიძა შწერმა:
ფუტკარმა, სოჭამ, ბუსმაც...



გამოიღვიძა ტყემ და
მთლად შეიცვალა უცბად:
ამწვანდა მუსა, თელა,
წიფულა, რცხილა, ვერსვიც;
სიო ქრის ოდნაე, მაგრამ
მუსის ტოტს სულაც ვერ სრის;
მოლიც ამწვანდა. ჩირგვში
სედაე ვაეახოს, საშხასს,
ჩირტი ქღურტულებს, მღერის
ტყის ბუბუების ამბავს.





აბა გახედე იქით
მინდორს, ჭალა-ველს, უანებს,
რა ამბავია ირგვლივ:
სნავეს, თესავეს, სნავეს;
ბრიკადელები ტყეშით
მისდევნენ ტრაქტორს რიგ-რიგ;
ჭა, უური უგდე, ერთი,
მანქანის ჩარხის რიკრიკს;

და თანაა

ბრუნავს მანქანა; მას ეს
თბავს ბიჭი მართავს.
მიწა სმარობს ტემპით,
რა გუგუნია მართლა!
რა ამბავშია, ნახე,
მინდვრად ეს შრომის ჯარი...
ბობოლა, მტერი, მუნე
კვდება, ისინა ჯავრით.
უნდა შესრულდეს გეგმა;
ბიჭებო, ნუ სწევთ მირს ცხვირს;
ბიჭებო, დაუკრათ მედვრად,
ბიჭებო, ნუ ვჭამთ სირცხვილს!
გადავაძალოთ სულ მთლად
სოფელს მინდვრები რაც აქვს;
ავწიოთ ტემპი, და მტერს
მიუაერით თვალში ნაცარს!

ნოე დაფნარელი





— დედა, არ დავიძინოთ? — შეეკითხა დედას პატარა ქეთო, რომელსაც ძილი მოსდგომოდა თვალებზე.

— გეძინება, ჩემო გოგონა? დაუცადოთ მამას, მგონი, მალე მოვა, აგერ უკვე პირველი საათია.

ქალაქის მოსახლეობას ეძინა. მარტის გულშემზარავი ქარი დაკრილ დათვივით ზმუოდა და ქარხნების მალალ მიღებს ქოჩორს უკოცნიდა...

პატარა ქეთო წამოდგა, მივიდა დედასთან, გვერდით მიუჯდა და ცოტა ხნის შემდეგ ხერინვა ამოუშვა.

დედა კი თუმცა დაღლილია, სამუშაოდან დაბრუნებული, მაინც ელოდება ქმარს. მას ძილი არ ეკარება, ან რა დროს ძილია, როდესაც ქმარი გარეთ ჰყავს...

აჰა, სამი საათიც სრულდება...

გარედან ხმაური მოისმა:

— გააღე!

მარომ იცნო ხმა, იცნო ლოთი ქმარი და სასწრაფოდ გააღო კარი. მიხო ზღაზენით შევიდა შინ, მდუმარედ დაათვალიერა თავისი ბინა... ხედავს გატეხილ ლამფის შუშას.

— ეს რა არის, ვინ გატეხა? — კითხულობს მიხო.

— ეს ხომ შენ გატეხე, არ გახსოვს? ხმის კანკალით ეუბნება ქმარს მარო.



— ტყუი, ტყუილად მამრალეებ! — დაიყვირა მიხომ, ლამფას შუ-
შა მოხადა და ხელში დაამტვრია. მარომ კივილი დაიწყო, ქეთოს
ჯამოედღიძა და მამას ემუდარებოდა:

— მამა, მამიკო, გვაპატიე დანაშაული!

პატარა ბავშვის სახეზე ცრემლი აბრწყინდა.

აშფოთებული მიხო ძლივს დაამშვიდეს. ცოტა ხნის შემდეგ ის
ხელებსისხლიანი იწვა და ხვრინავდა.

ქეთო და მარო განთიადს ელოდებოდნენ.

ისე გათენდა, რომ მაროს ძილი არ მიჰკარებია. სასწრაფოდ აღდგა,
ჯადახედა სახეშეშლილ მძინარე ქმარს და ნალვლიანად გარეთ გავიდა.
ეს იყო მ მარტის დილა. სასწრაფოდ მიდიოდა მარო: მას ქალთა
შესახებ მოხსენება ჰქონდა დავალებული.

სტამბა „კომუნისტი“-ს კლუბი არაჩვეულებრივად არის შრომითი. ამ დღით, მაგიდაზე, რომელთანაც ზის მარო და ზეც მისი მოხსენების კონსპექტი დევს, აწყვია აგრეთვე ქსემბურგისა და კლარა ცეტკინის ქანდაკებები.

— სად არის დედა? — ჰკითხა მიხომ ქეთინოს, როდესაც გამოვლვიდა. ქეთომ მიათვალეირა და დედა ვერსად დაინახა, შეშინდა, მაგრამ უცბად მოაგონდა დედის გუშინდელი სიტყვები: ხვალ, შეილო, დილიდან ქალთა ზეიმზე მივალო, და მამას დასმულ შეკითხვაზე უპასუხა:

— დედა ქალთა ზეიმზე წასულა.

— რაო? — გაიკვირვა მიხომ. — წამიყვანე და მაჩვენე ჩქარა, სადაც არის. ბავშვი გაჰყვა.

— სიჩუმე, ამხანაგებო, — გაისმა თავმჯდომარის ხმა ზარის წკარუნთან ერთად.

წუთით სიჩუმე ჩამოვარდა.

— ქალთა საზეიმო სხდომას გახსნილად ვაცხადებ. სიტყვა ეკუთვნის ამხ მაროს.

ქალებში მდგომი მარო სასწრაფოდ ავიდა ტრიბუნაზე.

— ამხანაგო მშრომელო ქალებო! მოგაგონდებათ, ალბათ, მშრომელ ქალთა წარსული, თუ ქალებმა როგორი ჩაგვრისა და მონობის უღელი ატარეს მრავალი წლის მანძილზე! საბჭოთა კავშირში მოისპო ქალთა ჩაგვრა, და ჩვენი ზეიმის საგანს ეს წარმოადგენს. თავისუფალი ქალი დგას მამაკაცის გვერდით და ქედავს სოციალიზმს, ქედავს ბედნიერ მომავალს, იბრძვის მეორე ხუთწლედის გამარჯვებით დამთავრებისათვის!

მარომ დიდხანს ილაპარაკა ქალთა შრომის მნიშვნელობაზე სოციალიზმის შენების საქმეში და ბოლოს ასე დაასრულა:

— გაუმარჯოს 8 მარტს, გაუმარჯოს ყველა ჩაგრულ ქალს, რომელნიც ელიან ჩვენს დახმარებას და თავისუფლების დროშის აფრიალებას. გაუმარჯოს...

მაგრამ უკანასკნელი სიტყვა ვეღარ დაასრულა, რადგან აუდიტორიამ ტაშით დაფარა რკი.

მარო დაუშრეტელ სიხარულს გრძნობდა, თითქოს დაეიწყებოდა ქმრის წუხანდელი ამბავი.

ზეიმი გრძელდებოდა, ქალები ესალმებოდნენ ერთიმეორეს და გმობდნენ ძველ კანონ-წესებს...

მიხო გაკვირვებული შესცქეროდა თავის ცოლს, ბოლოს დიმილიც აღიბეჭდა მის სახეზე, მაგრამ მან დახედა თავის დაკრილ ხელებს, მოაგონდა გუშინდელი ამბავი და თავისივე თავის შერცხვა. მან იკრძნო დახამაული თავისი ცოლშვილის წინაშე და გაიფიქრა: „კაცი არ ვიყო, თუ ამის შემდეგ ისინი გავტანჯო“.

შ. სამადაშვილი.



ჩემი თითის ჩრდილმა დაფარა მთელი ნახევარკუნძული და კასპიის ზღვის ნაწილი. შემდეგ თითის ჩრდილი აყვა ზევით მდინარე ვოლგისაკენ, ცოტა ხანს შეჩერდა სამარასა და უფას შუა და ისევ განაგრძო მოგზაურობა. აიწია აღმოსავლეთისაკენ, მერმე ჩრდილოეთით და ვაგეკანა ურალის მთაგრეხილისაკენ.

რა უზარმაზარი ადგილი შემოიარა ჩემმა თითმა! სამხრეთიდან — კასპიის ზღვიდან, დასავლეთით — ვოლგა, აღმოსავლეთით — ურალის მთაგრეხილი და ჩრდილოეთით — ყინულოვანი ოკეანე, — ამთელი ეს ტერიტორია, რამოდენიმე ასი ათას კვადრატულ კილომეტრზე გაშლი-

ლი, მდიდარია ნავთის წყაროებით.

უწინ კი ფიქრობდენ, რომ ნავთიმოიპოვება მხოლოდ ადერბეიჯანში, ქალაქ ბაქოს მახლობლად. მაგრამ ნავთი ადერბეიჯანს გარდა არის საქართველოში, ვოლგაზე, ჩრდილოეთ ოკეანის რაიონში და ურალის მთაგრეხილთანაც.

შესაშე ადგილიდან მეორეზე.

ყველა ქვეყანაში როდია ნავთი საკმაოდ. ზოგ ქვეყანაში ბევრია, მაგრამ ზოგში ისე ცოტაა, რომ სხვა ქვეყნიდან, რომელიც უფრო მდიდარია ნავთით, უნდა იყიდონ.

ჯერჯერობით ნავთის წარმოებაში პირველი ადგილი ამერიკას უჭირავს.

მეორე ადგილი ეჭირასულ პატარა ქვეყანას ვენეცუელას და მესამე ადგილას კი ვიყავით ჩვენ, საბჭოთა კავშირი. მაგრამ 1930 წელს ვენეცუელა იძულებული გახდა მეორე ადგილი საბჭოთა კავშირისათვის დაეთმო. ჩვენ ვაიძულებთ ვენეცუელა დაწესებული უკან. ეს მოხდა იმიტომ, რომ ჩვენ აღმოვაჩინეთ ნავთის ახალი წყაროები და უმთავრესად კი იმიტომ, რომ ვენეცუელაზე უკეთ ვისწავლეთ ნავთის ამოღება. ამ რამოდენიმე წლის განმავლობაში განვითარდა ჩვენში ტექნიკა, გამრავლდნენ ჩვენი სპეციალისტები, ბლომად გვაქვს ახალი აღმოჩენები, გაკეთდა საუკეთესო მანქანები.


ყველა სხვა ქვეყანას კაპიტა-

ლისტური სისტემა აქვს, ჩვენ კი გეგმიანი სისტემა, ჩვენში ზუსტად არის გამოანგარიშებული და ნაგულისხმები ყველაფერი: ამა და ამ წელს რამდენი ნავთი იქნება საჭირო, რამდენი გემი, რამდენი სახლის აშენება, რამდენი დაროგორი ინჟინერია საჭირო გემსაშენისა და ქიმიური ქარხნებისათვის და სხვა.

რა კეთდება ნავთისაგან?

ქუჩაზე ხალხს შეუყურია თავი. რა ამბავია? უყურებენ, როგორ ასხამს შოფერი ავტომობილში ბენზინს. სამხარეულში თითქმის მთელი დღე გამაყრუებელი ხმაურობა ისმის. ეს ბობოქრობს გამშაგებული დაფლეთილადიანი პრიმუსი. ამ აღს პრიმუსში ჩასხმული ნავთი იძლევა.

შარვალს ლაქა დააჩნდა. რა



ამოიყვანს? რასაკვირველია, ყველაზე უკეთ ამოიყვანს ბენზინი.

ოთახში უცებ დაბნელდა: გადაიწვა ელექტროს საცობი. სანამ გამოცვლიდნენ, ნავთის ლამთა უნდა გამოიტანოთ.

ნავთი და ბენზინი ძალიან გავრცელებული პროდუქტებია ჩვენ ყოფაცხოვრებაში და უთუოდ ყველამ იცის, საიდან ჩნდება და როგორ კეთდება.

ნავთისაგან კეთდება ორასამდე სხვადასხვა საკირო და სასარგებლო პროდუქტი.

ნავთი ყველგან ერთნაირი როდია. სხვადასხვა ქვეყანაში და რაიონში სხვადასხვანაირია ნავთი: მუქი მწვანე, რუხი, შავი, წითელი. ნავთის ფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ რა ნივთიერებაა შიგ. ამის გარდა ნავთი არის მძიმე და მსუბუქიც. არის ნავთი ბენზინოვანი, ზეთოვანი, პარაფინოვანი. რა ნივთიერებაც არის ნავთში, ფერიც იმაზეა დამოკიდებული.

დედამიწის გულიდან ამოდებული ნავთს ტუმბავენ ნავთის მილებით სხვადასხვა ქარხნებში და იქ მიდის „სამუშაოდ“. ჯერ ნავთს ხდიან, გამოხდის დროს გამოყოფენ იმ ნაწილებს, რომლების მიღებაც სჭირდებათ. ნავთის გამოხდით ჩვენ ვღებულობთ ნახევრად დამზადებულ პროდუქტს. ამას ჰქვია დესტილატი.

დესტილატს წმენდენ ქიმიური საშუალებით — სხვადასხვა სიმჟავით. ერთი ტონა ბალახანის ზეთოვან ნავთისაგან (ტონა ათასი კილოგრამია) საშუ-

ალოდ კეთდება ამგვარი პროდუქტები: ბენზინი — 40 კილოგრამი, ნავთის დესტილატი — 300, სოლარული დესტილატები — 160, ჰუდრონი — 300, მანქანების ზეთი — 150, მილები-სათვის — 10, სხვადასხვა — 30, დანაკარგი გამოხდის დროს მხოლოდ 10 კილოგრამია.

თითი შეჩერდა სტერლიტამაკში.

ჩემი თითი აიწია და პატარა წრესთან შეჩერდა. წრესთან წერია: სტერლიტამაკი. სტერლიტამაკი ბაშკირეთშია. წინათ, რევოლუციამდე, ამ მაზრის შესახებ არავინ არაფერი იცოდა.

არავის ფიქრად არ მოსდიოდა დავემუშავებია ნავთი ამ რაიონში, ნავთის მწარმოებლებს ძველ ნავთის რაიონებში კონკურენციის ეშინოდათ. იმათთვის ხელსაყრელი იყო სრულიადაც არ აღმოეჩინათ ნავთის ახალი საბადოები.

სულ სხვა საქმეა ბოლშევიკური წესწყობილება. ჩვენ ვეძებთ ჩვენს უზარმაზარ კავშირში დედამიწის გულში ჩამარხულ ახალსიმდიდრეს. ყველგან, მთელი ქვეყნის შორეულ კუთხეებშიაც, იგზავნება ექსპედიციები სიმდიდრეთა აღმოსაჩენად და გამოსაკვლევად. და თუ ექსპედიცია შეამჩნევს ახალი საბადოების რამენიშანს, მაშინვე იწყება კვლევა-ძიება, აკვირდებიან ნიადაგს, ბურღვენ, სინჯავენ, აწარმოებენ ცდებს და მოთმინებით ელოდებიან საქმის საბოლოო გამოკვევას.



მეორე ხუთწლიელის მუშაკები დიდხანს სწავლობდნენ, დიდხანს დიდი ყურადღებით მოგზაურობდნენ მთელ საბჭოთა კავშირში და მხოლოდ მერმე შეუდგნენ მუშაობას.

მერე რა დიდი მნიშვნელობა აქვს ნავთის ამ ახალ რაიონს: ბაშკირეთიდან ახლოს არის გადაჭიმული ურალის და კუზნეცკის ქარხნები. ამ ქარხნებს არ ჰყოფნით თხიერი სათბობი მასალა. სამხრეთიდან ნავთის მოტანა ძვირი ღირს, ახლა კი ნავთი იქვე ახლოს ექნებათ.

სტერლიტამაიკის ნავთის შადრევნებს გარდა ამჟამად უკვე დამტკიცებულია მეცნიერი მკვლევარებისაგან, რომ ურალის დასავლეთ ფერდობების უზარ-

მაზარ მანძილზე გადაჭიმულია ნავთის საბადოები.

მეორე ხუთწლიელის დასასრულს, 1937 წელს, ჩვენ უნდა ამოვიღოთ წელიწადში 80—90 მილიონი ტონა ნავთი. ამნაირად ჩვენ სწრაფად მივიწვეთ პირველი ადგილისაკენ ნავთის წარმოებაში.

საჭირო იქნება თუ არა ჩვენთვის ამდენი ნავთი? მანქანების წარმოება ჩვენ უნდა გავადიდოთ სამ-სამნახევარჯერ. თუ მანქანების წარმოებას განვაფართოებთ, ჩვენთვის საჭირო გაზდება ბენზინის ვადიდებული რაოდენობა, აგრეთვე ნავთის სხვა პროდუქტებისაც: მანქანების გასასხეთავად, სათბობად და სხ.

ავტომობილის წარმოებაში

მეორე ხუთწლედის დასასრულს ჩვენ გავუსწრებთ ევროპის ყველა ქვეყანას.

თუ ვიანგარიშებთ უკვე აშენებულ ქარხნებს ტრაქტორების წარმოებისათვის, 1937 წელს ჩვენ გვექნება 170 ათასი ტრაქტორი.

ეს ნიშნავს, რომ ჩვენ გვექნება რიცხობრივად მეტი ტრა-

ქტორი, ვიდრე ევროპის ყველა ქვეყანას.

1937 წელს თუნდაც მხოლოდ მანქანებისა და ტრაქტორებისათვის იქნება საჭირო აუარებელი ნავთი, და ტყუილად კი არ ვცდილობთ აღმოვაჩინოთ ნავთის ახალი რაიონები, ტყუილად კი არ ვბურღავთ დედამიწის გულს.

გაზაფხული სოფლად



ნახატი ცილა თაბუკაშვილის (8 წლის)



ბასარსე
 გუმის დილით,
 სადაც დანლია კრძელი,
 მამამ უყიდა გივის
 სამსედრო ტანსაცმელი.
 ლურჯი შარვალი
 ფართო,
 ლამაზად შენაკერი,
 სამსედრო სახალათო—
 შემხარი ფოთლის ფერი.
 დედამ უშოვნა სადღაც
 ქუდის ვარსკვლავი კენტი
 და საუელოსე დასსა
 წვეილი წითელი ღენტი.
 ისეთ მებრძოლად გახდეს—
 ვერ შეაშინოს მესმა;
 რისხვით მოღუშა სახე,
 ფესე ჩაიცვა ჩექმა.
 ლაშქარს ეძახის,
 კივის
 საბჭოთა მხარის მცველი...
 როგორ უხდება გივის

დრო ბრძანა

სამხედრო ტანსაცმელი!
გადიგდა გვიმ თოფი,
სმალი შეიბა სისა,
ბაბუმ ანუქა ძველი
ჭრელი ნაჭრების ქისა.
შიგ წაიღება „ტკია“ —
მტრისა და ომის წარი.
„გამიძვით,
აღლუმს მ ვაღ
სამხედრო კომისარი!
მე მხედარი ვარ
მტკიცე,
საბჭოთა მხარის მცველი,
აი, შესრულდა კიდევ
ჩვენი
თხუთმეტი წელი!“
უსოში გვიის სმასე
შეკრბა ღამქარი ვრცელი,
იგიც წაუღებ რაწმებს
სამხედრო ტანსაცმელით.
რიგში ერთმანეთს მიჭკუნენ
სმის და ვიყინის წარით.
— გაუძვით, აღლუმს იღებს
სამხედრო კომისარი!

იანი.



მედი-საი

(გადმოკეთებული)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აი ერთი ჩინელი ბავშვის ამბავი. მისი სახელია ჩი — ფუ. ის სულ 6-7 წლისაა, მაგრამ ქარხანაში მუშაობს — აბრეშუმის ზარკს აღბობს ძღუღარეში. შემდეგ ამ ზარკიდან მანქანა ძაფს ასვევს. ცხელი წელიწადის სელები მოხარბული აქვს ჩი-ფუს, ენი დანა-ოჭებია, გასთეთრებია და სმერება. საშინლად ეწვივს ჩიფუს დასეთ-ქილი სელები და ტირის, მაგრამ ვინ შეიბრალდებს; ის არის მუი-ცაი, ესე იგი გაუიღული, მონა-ბავშვი. ის ქარხნის ზატრონმა იეიდა და მას ეკუთვნის. ეს ასე მოხდა.



ჩი-ფუს შამა, დარბი ჩი-ნელი კლესი, მიეიდა ერთ დღეს ქარხნის ზატრონთან და ასე დაიწყო:

— მალიან გაჭირდა ცხოვრება; არც მიწა კვაქვს, აღარც საბუშაო იმთავება...

— შერე, რა გინდა? — შეკვითსა ქარხნის ზატრონი მდიდარი ინკლისელი.

— ჩემ მადლურ სიცოცხლეს სიკუდილი ბეურად სჯობია, მაგრამ...

საწყალს სმა აუკანკალდა. — ბავშვები მესოცებთან შიმშილით, ბავშვები...

ჩინელს ცრემლები მოერია, მაგრამ გადაულანა და განაგრძო: — ან ეველანი უნდა დავისოცოთ შიმშილით, — ან ერთ ერთი ბავშვი...



— ჰო, კავიკე, მესმის... შეილი ვინდა გაუიღო? შეიძლება...
 მორიგდენ. ჩინელს ფული მისცეს და გაისტუმრეს. ჩი-ფუ და-
 რჩა ქარხანაში, მშობლების მიერ გაუიღული, ჰატრონის მონად და-
 რჩა, შეი-ცაი კახდა.

ჩი-ფუს ძალიან აღონებდა მშობლებისა და და-ძმების მოშო-
 რება, მაგრამ კმაყოფილი იყო იმით, რომ ისინი დროებით მაინც
 შიმშილისაგან დაიხსნა.

როდესაც ბავშვს მოსარშული კანი სულ გადასძვრა ხელებზე და
 მუშაობა სრულიად აღარ შეეძლო, მაშინ დაძვრებულ გადაიყვანეს.
 მანქანასთან უნდა ეოფილიყო გამუდმებით და სეთი წაესვა თავის.
 დროზე.

მუშაობა კათენებამდე იწყებოდა და შუალამისას თავდებოდა.
 ჩი-ფუ ერთხელაც არ გამძღარა ძილით და სულ მუდამ ძილი ენა-
 ტრებოდა. ერთხელ მანქანასთან ჩასთვლიდა და ამისათვის დასაჯეს:
 სამი საათი სუდმეტი უნდა ემუშავა. მაგრამ ვეღარ გაუძლო ამდენ



უძილობას, მოქანცულმა ბაჭუმს კიდევ უფრო ჩასთვლიმა და წა-
ბარბაცდა, წაბარბაცდა და... მანქანამ ჩაითრია...

დილით ქარსნის ჰატრონს მოასსუნეს: ჩი-ფუ მანქანაში მოეჯა,
შიძედ დაშეჯა და მოკვდაო.

ინკლისელი შოიღუმა, მაგრამ დაუთრებში ჩასეჯა, რაღაც გა-
მოიანგარიმა და ისევე კარვ ხასიათსე დადგა: ჩი-ფუს დიდი ხანია
თავისი ფასი დაფარული ჰქონდა მუშაობით და ჰატრონს არაფერი
უსარალია.

ძია

ლენინაეზო, ისნავეთ ლენინისაგან!

ქართული
ხალხური

1924 წლის 24 მაისს მოსკოვში წითელ მოედანზე მივიდა ათათასი მოსკოველი პიონერი. ეს იყო ყველაზე პატარა თაობა ოქტომბრის რევოლუციისა.



ლენინის სახელობის დირიჟაბლი

მათ შესახვედრად კრემლიდან გამოვიდა ყველაზე ძველი თაობა ბოლშევიკებისა—პარტიის XIII ყრილობის დელეგატები.

მოსკოველი ათათასი პიონერი მთელი საბჭოთა კავშირის პიონერებისა და ყველა ბავშვის სახელით პარტიის ყრილობას დაჰპირდა, რომ ისინი იქნებიან ნამდვილი ლენინელები, რომ ისწავლიან ისე მუშაობას, როგორც მუშაობდა ლენინი.

ეს სახელი ავალდებულებს ყველა პიონერს—ლენინურად დაეუფლოს ცოდნას, ცდილობდეს იმუშაოს ისე, როგორც ლენინი მუშაობდა.

აი რას გვიაზობს თავის მოგონებაში ლენინის ძმა—დ. ი. ულიანოვი: „ვლადიმერ ილიჩი

სკოლაში საუკეთესოდ სწავლობდა. ჯგოფიდან ჯგუფში მუდამ ხუთიანებით და პირველი ჯილდოთი გადადიოდა.

როდესაც საშინაოდ აძლევენ თემას დასაწერად, ის არასოდეს არ წერდა ჩაბარების მიწურულში და მთელ დამეგებს არ ათენებდა, როგორც ეს ჩვეოდათ მოწაფეებს. პირიქით, როგორც კი გამოცხადებოდა თემა და დანიშნავდნენ, მაგალითად, ორკვირიან ვადას, ილიჩი მაშინვე შეუდგებოდა მუშაობას.

ის ადგენდა ნაწარმოების გეგმას შესავალითა და დასკვნით. შემდეგ აიღებდა ქალაქის ფურცელს, შუაში გაკეცავდა სიგრძეზე და ფურცლის მარცხენა მხარეზე წერდა შუად, სადაც სვამდა ასოებსა და ციფრებს, თანახმად მის მიერ შედგენილი გეგმისა. ფურცლის მარჯვენა მხარეს, ანდა ფართე არეს სუფთას ტოვებდა, რაზედაც მომავალ





ლენინის სახელობის ქალაქი

დღეებში მას შექონდა დამატებები, განმარტებები და შესწორებანი. როდესაც ჩაბარების დრო მოახლოვდებოდა, ის აიღებდა სუფთა ქაღალდის ფურცლებს და დაიწყებდა მთელი თემის შავად დაწერას, რისთვისაც ხელმძღვანელობდა სხვადასხვა წიგნში წინასწარ დანიშნული ადგილებით.

ამის შემდეგ მას მხოლოდ სკირდებოდა აელო სუფთა რვეული და მელნით გადაეწერა საესებით დამუშავებული და გამზადებული თემა.

გულმოდგინე დამოკიდებულება მეცნიერებისადმი, ახალი ცოდნის მისაღებად, — აი რა ახასიათებდა ლენინს მთელი სიცოცხლის განმავლობაში. ყოველ საინტერესო წიგნს ის არა მარტო კითხულობდა, არამედ ამოიწერდა ხოლმე ადგილებსაც, გადმოიტანდა მოკლე შინაარსს.

ლენინის და ა. ი. ულიანოვი წერს:

„ის უხსნიდა ამხანაგებს გაუგებარ საკითხებს დასვენების დროს. გიმნაზიაში ზოგჯერ ნახევარი საათით ადრე მიდიოდა, რომ ამხანაგებისათვის გადმო-

ეთარგმნა გაუგებარი ადგილები ბერძნული ან ლათინური ენიდან, ან აეხსნა რთული ტერმინები“.

თუმცა ლენინი სწავლას ძალიან ბევრ დროს უთმობდა, ამასთან ერთად ძალიან უყვარდა ფიზკულტურა და შეეძლო ისეთი დასვენება, რომ მოეკრობა ახალი ძალა. აი ნაწყვეტები მისი ამხანაგების მოგონებებიდან:

„ლენინი ყოველთვის არაჩვეულებრივად უბრალო ცხოვრებას ეწეოდა — არაავითარი ზედმეტი ფუფუნება. მართმენა არ შეეძლო, როდესაც კრებებსა და სხდომებზე პაპიროსს ეწეოდნენ.

ილიჩს უყვარდა ბუნება. ამ უდიდეს მოაზროვნეს შეეძლო ისე გართობა, როგორც ნორჩ კომკავშირელს. ის იყო სიმღერის წამომწყები სეირნობის დროს, ყინულზე ყველაზე სწრაფი მოსრიალე, საუცხოო ველოსიპედისტი, საუკეთესო ტურისტისტი.

ლენინი საუკეთესო ორგანიზატორი იყო მუშაობაში.

„მუშაობაში ვლადიმერ ილიჩი შესრულების გადამეტებით მომთხოვი იყო, გასაოცარი და



ლენინის ორდენით დაჯილდოებული მუშა



ბეჯითებით მოითხოვდა საქმის შესრულებას და მას რამოდენიმეჯერ ამოწმებდა, რაც უნდა წვრილმანი ყოფილიყო.

მოითხოვდა რა სხვისაგან ზუსტად შესრულებას, ამხ. ლენინს შეეძლო მაგალითის მიმცემი ყოფილიყო სიზუსტეში.

ამხანაგებისათვის ზრუნვა მისი დამახასიათებელი თვისება იყო, მაშინაც კი, როდესაც ის საპრობლემაში იჯდა.

ამხ. კრუშკაძე ამბობს:

„ვლადიმერ ილიჩის დამახასიათებელი თვისება იყო განსაკუთრებული მზრუნველობა ციხეში მჯდომ ამხანაგთა მიმართ. თვითვე მისი წერილი, ციხიდან გამოგზავნილი, საესე იყო დავალებებით, ციხეში მჯდომთათვის. ვ. ილიჩი დიდ მიწერ-მოწერას აწარმოებდა ამხანაგებთან, რომელთათვისაც ამ წერილებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ვ. ილიჩის ეს წერილები გამსჭვალულია ბრძოლისა და მუშაობისაკენ მოწოდებით. ამ წერილების მიღებისას აღამიანს ავიწყდებოდა ციხეში ჯდომა, შრომა იტაცებდა.“

იჩნდა რა ლენინი დიდ მზრუნველობას ამხანაგებისადმი, ის ამასთან ერთად შეუღრეკელი იყო პოლიტიკურ ბრძოლაში, მტკიცედ იბრძოდა პარტიის ხანისათვის. როდესაც ზინოვიევა და კამენევა 1917 წელს, ოქტომბრის რევოლუციის წინ, ბურჟუაზიულ გაზეთში მოათავსეს

წერილი ბოლშევიკების მიერ ძალა-უფლების ხელში აღების წინა აღმდეგ, ლენინი ამაზე წერდა: — მე ჩემთვის სამარცხეიანი

მივიჩნევდი, რომ უწინდელი ახლობლობის გამო ამ ყოფილ ამხანაგებთან მერყეობა დამეწყო მათ დაგმობაში. მე ვამბობ პირდაპირ, რომ ამის შემდეგ მე მათ ამხანაგებად აღარ ვთვლი და მთელი ჩემი ძალ-ღონით ყრილობაზეც ვიბრძოლებ იმისათვის, რომ ორივე გამორიცხულ იქნან პარტიიდან.“

როდესაც ზინოვიევა და კამენევა აღიარეს თავისი შე-



ნარჩი ლენინელები

ცლომები და პარტიამ გამოიჩინა მათადმი ნდობა, მათ 10 წლის შემდეგ პარტიის ნდობა ვერ გაამართლეს — ისინი ხელმეორედ გამოვიდნენ პარტიის წინააღმდეგ. ბრძოლაში დამარცხებულებმა, მათ განაცხადეს, რომ დაემორჩილებიან პარტიას. პარტიამ მიანდო მათ საპასუხისმგებლო სამუშაო, მაგრამ შემდგომ, იმის ნაცვლად, რომ ებრძოლათ პარტიის ხანისათვის, მათ ისევ უღალატეს პარტიას და ვახდენ კონტრევოლუციის თანაშემწენი, და ისინი ვარიცხეს პარტიიდან.

ნოკრუ ლენინელები, უნდა მისწრაფოდეთ იმისაკენ, რომ გახდეთ ისეთები, როგორც იყო ლენინი.

გ. ა.



ტფილისი. აშხ. ფილიპე მახარაძის სახელობის საბჭოთა მეურნეობის საბავშვო კერაში. ექსკურსიის შემდეგ.

უანაური ახოჯაი

(ბერი აღებულია)

ნელის ძამას ერთმა ამხანაგმა მძუნეური ძაღლი ასუქა. ეს ძაღლი მგელს ჰკავდა.

ნელი დედამ სოფელში წაიუყანა, ჰამა კი ქალაქში დარჩა. ერთხელ, დასუენების დღეს, ნელის ძამა სოფელში წაუიდა და თან ჩაიუყანა მგლის მსკავსი ძაღლი. ძაღლმა ყსოში გაიბრინ-გამოიბრინა.

სოფელში ასეთი ძაღლი არაფის არ ეჩასა და ის მგელი ეკონათ. ცსოფელებმა და ფრინველებმა ერთი ამბავი ატყეს.

— ჰკა, ჰკა, ჰკა, ჰკა! — აკაკანდენ შემინებული ქათმები.

— ვის, ვის, ვის? — კითხულობდენ ბატები, მაგრამ როდესაც უცნაური ძაღლი დაინახეს, ატყეს სისინი:



საბავშვო კერის ქართველ ბავშვთა ჯგუფი ამზადებს კვლევის ვაშტებს.

—სსს—სსს—სსს!—მიუსიანეს ზატარა უურმა მკვლამდლას.
 —ამ—ამ—ამ!—აუფუდა უურმა, თან შიშით უკან-უკან ისეგდა.
 ამ სმაურობასე დინჯად გამოვიდენ ისვები წელიდან, შესედეს
 მკვლამდლას, გაუკვირდათ და ატყეს ევირილი:

—ვას, ვას, ვას!


ბოსლიდან გამოიხედა სბოპ, დაინახა უცნაური ცსოველი და თვა-
 ლებზე ცრემლები მოადგა. იმან იფიქრა: ახლავე მოვა და შექამ-
 სო. მიუბრუნდა თავის დედიკოს და უნდოდა ეთქვა შემინაო, მაგ-
 რამ ვერ მოახერხა და გააბა სცოდავი ბღავილი:

—მე—მე—მე—მე!

დიდუურა ვირი ბაღახს მოვდა. ის შეაწუხა სბოს ბღავილმა,
 ასწია თავი, დაინახა საშინელი ცსოველი და იფიქრა:

—ახლა კი დავიღუპე, ეს მკვლია, მოვა და შექამსო, და სა-
 შინელი სმით აუროეინდა:

—უუუი, უუუი, უუუი!



ისეთი ამბავი იყო ესოდნ, რომ ფრინველებმაც მიაქციეს უუ-
რადლება. ბელურები კაბრანდენ: რის ეშინიათ, რა აუვირცობა
იმათ რა ენადლეებათ, ძველი სესე ვერ აჯა და ამიტომ არ ეშინიათ
მისი. დაუწევს ბელურებმა ცხოველებს კახუძება:

— ჩუ, ჩუ, ჩუ, ჩუ!

მაგრამ ქათმები მანც გაკიოდენ:

— ჭკა, ჭკა, ჭკა, ჭკა!

ურუმბ კატეხილ ღობეში გამხურადიყო და მესობლის ესოდან
ეფუდა:

— ამ — ამ — ამ!

სბო ტიროდა:

— ძე — ძე — ძე — ძე!

სბოს დედიკო, ჭრელი ძროხა, ნელის დედან უძანდა მიძვე-
ლეო, მაგრამ ვერც ის ამბობდა ამას და ბოსი სმით ბლაოდა:

— მი — მი — მი!

ვირი უურებს აბარტუნებდა, კისერი წავერძელებია და გაკი-
ოდა:

— უუუი, უუუი, უუუი!

ბელურები კიდევ აჩუშებდენ ცხოველებს:

— ჩუ, ჩუ, ჩუ, ჩუ, ჩუ!

ძვლის მსგავსი ძაღლი კი არაუის არ აქცევდა უურადლებას
და არსეინად დასვირობდა.

როდესაც ნელი და მისი ძამა გამოვიდენ ესოდნ, ეს ძაღლი
მათთან მივიდა, და ნელ-ნელა დაწუნარდენ შეშინებული ცხოველე-
ბი, ისეუბი კი მანც გაკვირვებული იყენენ და გაიძანოდენ:

— ვახ, ვახ, ვახ!

მ. თაბუკაშვილი.

ძალიან ცხელი დღე იყო. სღვაში სხვა ძალიან, ძალიან-სველი
წვეთთან ერთად ორი წვეთი დასტოვდა და ბრჭყეინაჟდა შხის სნი-
ვებზე.

ძალიან დაცხათ წვეთებს, დადნენ და ორთქლად გადაიქცნენ.
სხვა წვეთებთან ერთად ორი ცელქი წვეთიც ორთქლად იქცა, ისინი ცაზე
აუიღენ და სხვებთან ერთად სვირნობდნენ, სვეიდან გადმოსცქეროდნენ
დედამიწას, სღვას, ამწვანებულ მინდვრებს და შრიალა ტყეს. ახლა
ესენი წვეთები კი აღარ იყვნენ, მათ ღრუბლეს ეძახოდნენ.

ერთ დღეს მზე მიიძალა, ცაზე ღრუბლები აირია. ის ღრუბე-
ლიც, რომელშიც მოსვდა ხვენი ნაცნობი ორი წვეთი, სხვა ღრუბ-
ლებთან ერთად დასხვრებოდა ეანას, რომელიც სიცხეს შეეწუხებოდა.
ერთხელ ღრუბლებს შესცაუდათ, რაღაც სამძაქ იკრძნეს, თავი
ველარ შეიძაგრეს ცაზე და დედამიწისკენ დაქმნენ.

— ბიჭოს, ხვენ ისევ წვეთებად გადავიქცეთო! — თქვენ ღრუბლებმა.

— წვიმა მოდის, წვიმა მოდის! — გაიძახოდნენ გახარებული
ბავშვები.

გაეხარდა სიცხისაგან შეწუხებულ ეანას, წუურული მოიკლა,
აღაღანდა.

ორი ცელქი წვეთიც ეანას დაეცა. ცოტა სნის შემდეგ კი ისინი
გამვრენ მიწის სურელებში, მათ სსვებიც შეუერთდნენ, იარეს, იარეს
მიწის ქვეშ და ბოლოს ერთ კლდეში გამოიყვეს თავი. ეს წვარო
იყო, სადაც მოდიოდა ხალხი და წვალს სვამდა.

— უჭ, რა კემრიელი, რა ცივი წვალია!

— შესედე, ერთი, რა ანკარა!

ამბობდნენ გამვლელნი და სვამდნენ წვაროს წვალს.

ზოგიერთი წვეთები აღაძიანებმა დალიეს, ცელქი ორი წვეთი
და ბევრი მათი ამხანაგი კი მდინარეში შევიდა.

მიქროდნენ წვეთები, მათ თავს უკრავდნენ შრიალა ვერხვები,
ტირიფები, თითქოს ძველი ნაცნობები არიან და გაეხარდათ მათი
ნახვაო.



მდინარის ზირას ქალები სარეცხსა რეცხავენ, საქონელი კაბა დიოდა მდინარეში, ბავშვები ბანაობდნენ, ქარსების მილებს კვარი ჭუჭყი და სიბინძურე შექონდა მდინარეში.

ისე გაჭუჭყიანდნენ წვეთები, რომ ერთმანეთს ვეღარ სცნობდნენ. ისინი ქალაქისაკენ მიდიოდნენ.

ცოტა ხნის შემდეგ წვეთები რკინის სლართებში გაძვრენ და დიდ ბნელ ორმოში მოხვდნენ.

— უჰ, სადა ვართ აქ? — კითხულობდნენ წვეთები.

ისინი წყალსადენის სადგურში მოხვდნენ, სადაც წყალს ასუფთავებენ და მერე ქალაქის მცხოვრებლებს უკმაყინიან მიწაში დატანებული მილებით.

წვეთებმა კი არაფერი არ იცოდნენ წყალსადენის შესახებ.

წვეთები რაღაც კრძელ დერეფნებში მიძვრებოდნენ, ბოლოს კი ფილტრებში შევიდნენ.

— რა არის ეს, რა გვინდა აქ? — ჰკითხეს ერთმანეთს წვეთებმა.

იმით არც ის იცოდნენ, რომ ფილტრი არის წვრილი და მსხვილი სილა, სევიდან კი ამ სილას გრაფიუმი აურია, და ფილტრი კარგად წმენდს წყალს.

წვეთები გაძვრენ-გამოძვრენ გრაფიუმი, შემდეგ სილაში და, რომ შესვლას ერთმანეთს, თვალები გაუბრწყინდათ: ისინი ახლა სუფთა, ანკარა იუვენს, მთელი ჭუჭყი ფილტრში დარჩენილიყო.

ფილტრიდან წვეთები დიდ მილში შემვრენ და ქალაქისაკენ გასწიეს. ქალაქში რომ შევიდნენ, დანახეს, რომ დიდ მილს აქეთ-იქით ჰატარ-ჰატარა მილები ჰქონდა დატანებული.

ორი ცელქი წვეთი ერთ ჰატარა მილს გაჰყვა. იარეს, იარეს, და ერთ ქუჩაში შეუსვია მილმა, იქ კი მას წვრილი მილები დასვდა. ერთ წვრილ მილს შეჰყვა ორი ცელქი წვეთი და ერთ სახლში კი ამოუყვან თავი. იქ მილი თავდებოდა და რაღაც საკეტი ჰქონდა წამოცმული.

— აქ რა გვინდა? — ჰკითხა ერთმა წვეთმა მეორეს.

— რა ვიცი რა გვინდა. უჰ, რამდენი ვიარეთ! სვლაშიაც ვიუბუით, ცაზეც, მიწაშიც, ახლა კი ამ მილში უნდა ვიყოთ სულ?

ამ დროს ფენის სმა მოისმა. მოვიდა რვა წლის ბიჭი, მოუშვა
ონკანი და ჭიქა მიუდგა. წვეთები ჭიქაში ჩასტენ.

— უჰ, რა ცივი, რა სუფთა წუგალია! — თქვა ბიჭმა.

ამ დროს ვიღაც კაცი გამოვიდა.

— მამიკო, რატომ არის ჩვენი წუგალი ასე სუფთა? საიდან მოდის?
მამამ უპასუხა:

— ეკ წუგალი, შვილო, ფილტრში იწმინდება, მერე გაიმზობ
დაწვრილებით, ოღონდ გამახსენე. ცოტაც მოიცადე, და ტფილისს
ისეთი წუგალი ექნება, რომ სხვა ქალაქები სულმის ნატურაში იქნე-
ბიან, ნეტავ ჩვენც გექონდეს ასეთი წუგალიო.

— რა წუგალი გვექნება, მამიკო?

— ნატასტარის წუგალი გვექნება, ნატასტარის..

— სად არის ნატასტარი?

— მცხეთიდან უნდა წახვიდე ჩრდილოეთისაკენ, ათიოდე კილო-
მეტრს გაივლი და მისვალ... მერე გაიმზობ, მერე, — გამოართვა შვილს
ჭიქა, დალია და თქვა:

— უჰ, რა ცივია!

მ. თაბ-ლი.

ჩემი ნაჟურა

ნეტავ როდის გავიზრდები,
წლების მოსვლას გულის ვუღი,
ნეტავ როდის მეღიროება
გავსდევ წითელარმიელი.

რა სჯობია ვაჟკაცობას,
რა სჯობია მებრძოლ ძალას!
სირცხვილი და დამცირება,
ვინც თვის სერსს და ღონეს ძალაფს!
მაყვალა უფშიძე.

კომუნარი ნაკო



(პარიზის კომუნართა ბრძოლიდან).

(სცენა წარმოადგენს პარიზის ერთ-ერთი ქუჩის საბრძოლო მოედანს; ქუჩაში არევ-ღარევა, წიოკობა, სტვენა, ევრილი, ლაპარაკი).

1-ლი ჯარისკაცი (შეიარაღებულ-ლი დადის სადარაჯოზე, მიმართავს მეორე ჯარისკაცს). როგორ მომწყურდა... ნეტავი წყალი დამალევია.

მე-2 ჯარისკაცი. უნდა ითმინო, მეგობარო... ბრძოლის ველა!

1-ლი ჯარისკაცი. წუხელ უფროს-მა ღამე სულ მთლად გამა-თევია;

მე-2 ჯარისკაცი. უნდა გავუ-ძლოთ...

ჩვენი ბრძოლა გადამქრელია! (მოისმის კომუნართა ბანაკიდან თოფის ხმა; შემოდის უფროსი ჯარისკაცი)

უფ. ჯარისკაცი. მარჯვედ იყავით, ხომ ხედავთ, როგორ გვიშე-ნენ ტყვიებს კომუნარები!

1-ლი ჯარისკაცი. ვხედავთ და ვხედავთ...

მე-2 ჯარისკაცი. კარგადაც ვხე-დავთ...

ორივე: (ერთად) გაუმართავთ მათ ბარიკადები!

(შემოდის პატარა ნაპო, რომელსაც ჩამოუკიდია წყლით სავსე ფლიაგა და ცდილობს გაპარვას).

უფ. ჯარისკაცი. ეს ვინ არის? არ გაუშვათ!

1-ლი ჯარისკაცი (ხელს ჩაავლებს ნაპოს). შენ ვინა ხარ!

მე-2 ჯარისკაცი. საიდან გაჩნდი? ნაპო. მე თქვენი ვარ, ძია, თქვე-ნი!

სხვაგან მე რა მესაქმება... დამავალეთ, რაცა გსურდეთ, შემძლია შესრულება!

(განზე, ხალხისკენ)

მოდო, ერთი, ამ სულელებს, სულ ერთბაშად ავურევ თავს! (ჯარისკაცებს)

მტრის ბანაკში ისე გავალ, რომ ვერავინ ვერ შემნიშნავს!

უფ. ჯარისკაცი (1-ელ ჯარ.). დავავალოთ?

მე-2 ჯარისკაცი. დავავალოთ, დავავალოთ!

1-ლი ჯარისკაცი. მაგრამ ჯერ კი... (ფიქრობს)

მე-2 ჯარისკაცი: აქ დავმალეთ! (მიუთითებს საბარკადოდ გა-მოყენებულ კარადაზე)

უფ. ჯარისკაცი. მომეწონა თქვე-ნი აზრი,

ხელი სტაცეთ, არ გაუშვათ! (ორივე ჯარისკაცი მივარდებ-ა ნაპოს და გააქანებენ კა-რადისაკენ)

ნ ა პ ო (გაძალიანდება). ხელს ნუ მახლებთ, ხელს ნუ მკიდებთ! (იძრობს ჯიბიდან დანას) გსურთ მუცლები გამოგთა-შოთ? (დანას წაართმევენ).

1-ლი ჯარისკაცი. აბა, ეს სადაუ-რია,

შენ წყალი გაქვს, ჩვენ გვწყუ-რია!

ნ ა მ ო. წყალს არ მოგცემთ, არა,
არა!

თავხედობა თქვენი კმარა!
ეგერ, ქუჩის ზმ ბოლოში
მძიმედ დაქრეს ჩემი მამა
და, რომ წყალი მივაწოდო,
გამოვსწიე მე თამამად!

(ფლიაგას ძალით წაართმევენ,
პირველი ჯარისკაცი წყალს
დაღვეს, ისმის გუგუნე, სრო-
ლა, ბრძოლა)

ხედავთ, ხალხი როგორ იბრ-
ძვის?

თქვენი აღსასრული ღებება ...

(კიდევ ხმაურობა, გუგუნე)

ყველა აღდგა, ყველა იბრძვის...

1-ლი და მე-2 ჯარისკაცი. აქ და-
ჯექი, მოგიხდება!

(კარადაში შეაგდებენ)

უფროსი: ესეც ასე... ერთი კაცი
უკვე ვიგდეთ დღეს ჩვენ ხელ-
ში!

1-ლი ჯარისკაცი. ვუთვალთვა-
ლოთ, რომ არ გაძვრეს ეს
ეშმაკი სადმე ხერხელში!

მე-2 ჯარისკაცი (კარადას გასინ-
ჯავს) ეს კარადა სულ მთელია
და აქ ხერხელი არსად არის!

ნ ა მ ო (აკაკუნებს შიგნიდან, კა-
რადა ინძრება)

მე თქვენ გირჩევთ გამომიშვათ
და გამიღოთ ნებით კარი!

უფროსი: ჰა, ყოჩაღად, თორემ

ახლა,

ვხედავ, საქმე მიღის კიდევ
კომუნარებს ვერ გავეუძლებთ,
დაგვესხმიან თავზე უცბად.

(ისმის ხმაური, ბრძოლის კი-
ჟინა, გამარჯვებული კომუ-
ნარები შემორბიან წითელი
დროშებით ხელში. ჯარისკა-
ციებს ატყვევებენ. კომუნარებს
შემოყავთ დაჭრილი კომუ-
ნარი. ნაპო კარადიდან აბრა-
ხუნებს, კომუნარები აღებენ.
ნაპო გამოვარდება, დაინა-
ხავს დაჭრილ კომუნარს და
გაიქცევა მისკენ)

ნ ა მ ო მამა, მამა, როგორა ხარ,
მე მომქონდა შენთვის წყალი,
რა მოგსვლია, მე ნაპო ვარ,
გაახილე, აბა, თვალი!

დაჭ. კომუნარი. შეილო, ვკვდები,
შაგრამ რაღვან

გამარჯვება ჩვენი არც,
აღარ ვწუხვარ და შენ ერთს
გთხოვ:


მუდამ იყო მხნე, მდგარი.
(ხაპოს მამა კვდება, კომუნა-
რები ქუდს იხდიან, წითელ
დროშებს ხრიან მოკლული
კომუნარის თავზე. ისმის წყნა-
რი მარსელიეზა და ნაპოს
ჩუმი ტირილი).

ფარდა.

ლ. გეგეკიორი.

მასართობი


რა არის აქ დახატული?



1.	3.	12.	15.	7.
16.	23.	2.	17.	19.
5.	14.	22.	13.	9.
18.	25.	6.	20.	4.
8.	10.	21.	11.	24.

როგორ გავიგოთ, რა არის აქ დახატული? გადაიტანე ეს ნახაზი ქაღალდზე, შემდეგ შეაფერადე ყველა ნაწილი ციფრების მიხედვით, შემდეგი ფერებით: 1-2—ღია მწვანე ფერით, 3—წითელი ფერით, 4—ვარდისფერით და 5—ყავისფერით.

ვის შეუძლია თითო უშეცოლოდ გვიჩვენოს ყველა ციფრითანმიმდევრობით, 1-დან 25-მდე უკანასკნელი ვადა — 20 წამი



ბავშვებო, დახატეთ ასეთი კონვერტი ფანქრის ერთი მოსმით ისე, რომ ერთსადაიმავე ხაზზე ფანქარი ორჯერ არ გაუსვავთ.

ჩელაქციის შიხაშართა: ტფილისი, აღმასკომის ქ., № 7. სახელგამი.

პ/მ. რედაქტორი: ირ. აბაშიძე.
პ/მ. მდივანი: ელ. აგლაძე.

სახელგამის მე-2 სტამბა. ტფილისი. ლენინის ქუჩა, № 3.
ტირაჟი 2.600 შეკეთა 138. მთავლ. რწმ. № ა-726.

